




იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.



ამ სახლის ზემო სართულში გარდაიცვალა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.



განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის სამუშაო ოთახი.



განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის საძილო ოთახი.



იაკობ იოსების ძე გულუაშვილი, რომელიც განსვენებულს ემსახურებოდა უკანასკნელ დროს.

ვიცნებთ ბლასკო იბანიესის ნოქველები

კ ე დ ე ლ ი.

ყოველთვის, როდესაც ბიძია რაბოს შვილიშვილები შეხედებოდნენ ქვრივ კასპორრის შვილებს სოფლის გზაზე თუ კამპანარის ქუჩაში, ყველა მეზობლებს ის ჰქონდა სალაპარაკოდ. ერთმანეთს შეჰხედეს!.. ერთმანეთს მუშტით დაემუქრნენ!.. ცუდად გათავდებდა ეს, — ერთ კარგ დღეს, სრულებით მოულოდნელად და უცაბედად, ერთი უბედურება რამ დაატყდებოდა ჩვენს სოფელს.

მამასახლისი და პატივცემულნი ამ ორ გადამტერებულ ოჯახის ახალგაზდობას მშვიდობიანობას უქადაგებდნენ, მღვდელი კი, ნამდვილი ღვთის კაცი, ამ ორ სახლს შუა დადიოდა და მოაგონებდა შენდობას.

აი იცოდეთ წელიწადია, რაც რაბოსებსა და კასპორრებს შორის ჩამოვარდნილი შუღლი მოსვენებას უფრთხობს კამპანარას. ზედ ვალენსიის შესავალში, მხიარულ სოფელში, რომელიც პატარა მდინარის გაღმინიდან გამოსცქეროდა ქალაქს თავის წამწვეტილ სამრეკლოს მრგვალის სარკმლებით, ეს ბარბაროსები იმეორებდნენ საშუალო საუკუნეთა იტალიის დიდ გვართა ბრძოლასა და ძალმომრეობას. ოდესღაც ეს ორი ოჯახი დიდად დამეგობრებული იყო; მათი სახლები, თუმცა სხვა და სხვა ქუჩაში გადიოდა, მაგრამ უკან საერთო მიჯნა ჰქონდათ და ერთმანეთისაგან მხოლოდ დაბალი კედელი ჰყოფდათ.

ერთხელ ღამე, ბოსტნებს რომ რწყავდნენ, რაღაც უთანხმოების გამო ერთ-ერთმა კასპორრმა ესროლა თოფი და მოჰკლა ბიძია რაბოსის შვილი, ხოლო ამისმა უმცროსმა შვილმა, არა სთქვან, ოჯახში ვაჟკაცი არ დარჩენიათო, ერთის თვის დარაჯობისა და კვლევის შემდეგ, შიგ წარბსა და წარბს შუა სთხლიშა ტყვია მკვლელს.

მას შემდეგ ეს ორი ოჯახი თითქო მხოლოდ იმისთვის და სცხოვრობდა, რომ ერთმანეთი ამოეწყვიტათ, და უფრო იმას ჰფიქრობდა, სად ჩაეგდო ხელში მტერი, ვიდრე თავის მამულის მოვლას. თოფის ხმა ხან ქუჩაში ისმოდა, ხან სარწყავ რუიდან, ხან ტყიდან; ხან რამოსი და ხან კასპორრი მიჰქონდათ სასაფლაოზე ერთ მისხალ ტყვიით ტანში, და შურისძიების წყურვილი კი არა სცხრებოდა, პირიქით ყოველ ახალთაობას თითქო ემატებოდა; ასე გეგონებოდათ, ამ ორ ოჯახში ვაჟები თოფებით შეიარაღებულები იბადებიან, რათა მეზობლები გასწყვიტონო.

ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ კასპორრების ოჯახში დარჩნენ მხოლოდ ქვრივი და სამი ახალგაზდა ვაჟი. მოწინააღმდეგეთა ოჯახში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ოთხმოცის წლის ბიძია რაბოსა, ფეხებ დახუთული, უძრავი ჩალის სავარძელში, რომელიც შურისძიების სახე დაღმევილ კერპსა გვანდა. მისი ორი პატარა შვილიშვილი ფიცსა სდებდნენ ოჯახის სახელი შეენახათ.

მაგრამ ეხლა სხვა დრო დადგა: აღარ შეიძლებოდა, მამებივით ნაწირვებს მოედანზე თოფის სროლა. პოლიცია თვალს ადევნებდა მათ, მეზობლები სდარაჯობდნენ, და ერთ წამს რომ შეჩერებულიყო რომელიმე მათგანი სადმე სერზე, იმწამსვე შემოესტოდა ხალხი და სთხოვდა, მშვიდობიანობას ნუ დაარღვევო.


ასეთ სიფთხილის წყალობით რომელიც თითქმის დევნად გადაიქცა და სრულებით ხელს არ უწყობდა მტრობას, კასპორრები და რაბოსები დაეხსნენ ერთმანეთის ძებნას და კიდევ გაურბოდნენ ერთმანეთს, როდესაც შემთხვევით შეხვდებოდნენ.

ეს ერთმანეთის მოშორებისა და არა შეხვედრის სურვილი იმდენად განმტკიცდა ორსავე ოჯახში, რომ მათ მამულებს შუა გაყოლებული კედელი დაბალი ეჩვენათ. ორთავესი ქათმები კედელთან დაწყობილ შეშებზე აფრინდებოდნენ ხოლომე და კედლის თავზე დასეირნობდნენ, ორისავე ოჯახის დედაკაცები თავ-თავიანთ ფანჯრებიდან ხედავდნენ ერთმანეთს და სხვა და სხვა ნიშნებით ანიშნებდნენ ერთმანეთს თავის ზიზღს. ამნაირად ცხოვრება აღარ შეიძლებოდა; დაბალი კედელი თუ გინდ არ ყოფილიყოს და ორისავე ოჯახის ცხოვრება თითქო გაერთიანებული იყო. ამიტომ კასპორრას ქვრივმა უბრძანა შვილებს კედელი აემაღლებინათ ერთის ვართო. *) მეზობლებიც არ ჩამორჩნენ და თავის მხრივ დაუჩქარეს ქვითა და კირით სიძულვილის გამოცხადება და კიდევ ააპალღეს კედელი რამდენისამე ჩარეკით. ამრიგად, სიძულვილის ამგვარ უსიტყვო და განმეორებულ გამოცხადების წყალობით კედელი იზრდებოდა და იზრდებოდა. ჯერ კედელმა დაჰფარა ფანჯრები, ცოტა ხანს უკან კი აღარც სახურავები სჩანდა; საბრალო შინაური ფრინველი კანკალებდა ამ უშველებელ კედლის ჩრდილში და ქათმების კაკანი ძლივს ისმოდა ამ სიძულვილის ძეგლის გადაღმა, რომელიც თითქო ამ სიძულვილის მსხვერპლთა სისხლისა და ძვლებისაგან იყო აგებული.

ასე სცხოვრობდა ორივე ოჯახი. უწინდებურად აღარ ეცემოდნენ ერთი მეორეს თავს. მაგრამ არც უახლოვდებოდნენ, — ისინი თითქო გაქვავდნენ სიძულვილში.

ერთხელ ადგილობრივ სამრეკლოდან ზარის ხმა მოისმა: ბიძია რაბოსის სახლს ცეცხლი ეკიდებოდა. შვილიშვილები

სტამბოლის ქართველები.



სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ახალი წინამძღოლი მამა პიო შალიძე და ქართულ-ფრანგულ სემინარიის ქართველი მოსწავლეები.


სამუშაოზე იყვნენ, ერთ მათგანის ცოლი სარეცხით წასულიყო წყალზე, სახლის ყველა ქუქრუტანებიდგან სქელი კომლი

*) ვრი—ალბის ოდენაა.

თ-ღ. პ. მ. აზიკაჯიბის მამული.



რახსამისეულ გუთნით ხენა სოფ. ავლევეში.



ალეწ მანქანით ლეწვა სოფ. ავლევეში თ-ღ აზიკაჯიბის მამული.

გამოდირდა, შიგნით კი, ჯოჯოხეთურ ალში, რომელიც გასავალს ვერ პოულობდა, დარჩენილიყო საწყალი ბიძია რაბოსი თავის სავარძელს მიკრული. პატარა ბავშვი თმას იგლეჯდა: ჩემი დაუდევრობის ბრალია ეს უბედურება. ცეცხლის სიმძაფრით შეშინებული ხალხი ქუჩაში ირეოდა. ზოგიერთმა, უფრო გაბედულმა, გააღო კიდევ კარი, მაგრამ ისევ უნდა დაეხიათ, რადგან საშინელი კომლი წამოვიდა და თან ცეცხლიც.

— ბაბუა! საწყალი ბაბუა! — ჰყვიროდა რაბოსის პატარა შვილიშვილი, აქეთ-იქით იყურებოდა და ამოდ ეძებდა მსხნელს.

უეცრად შეშინებული მეზობლები გაქვავდნენ გაკვირვებისაგან; სამრეკლო რომ წამოსულიყო მათკენ, არ გაუკვირდებოდათ ისე: სამი ყმაწვილი შევარდა ცეცხლმოკიდებულ სახლში. ეს იყვნენ კასპორები. ამათ ერთმანეთს შეხედეს, თვალი უყვეს ერთმა მეორეს და უსიტყვოდ მივარდნენ კოცონად ქცეულ სახლს. ხალხი ტაშის კვრით დაუხვდა, როდესაც ყმაწვილები ისევ გამოჩნდნენ. მხრებზე შეედგათ ბიძია რაბოსის სავარძელი და მალლა მოჰქონდათ, როგორც წმინდანის ქანდაკება. დაუშვეს მოხუცი მიწაზე და, არავის არც შეხედეს, ისევ შევარდნენ სახლში.

— ნუ, ნუ! — ჰყვიროდა ხალხი. მაგრამ ისინი ღიმილით მიდიოდნენ ცეცხლში: მათ ჰსურდათ თავიანთ მტრების ქონების ცოტა რამ გადაერჩინათ ცეცხლისაგან. რაბოსის შვილიშვილები რომ ყოფილიყვნენ აქ, ისინი ფეხსაც არ მოიცვლიდნენ; მაგრამ ისინი აქ არ იყვნენ და ამათ უნდა გადაერჩინათ საბრალო მოხუცი. ხალხი ხან ქუჩაში ჰხედავდა ამ სამ ვაჟკაცს, რომელნიც მოუსვენარ ეშმაკებსავით ხან კომლში იკარგებოდნენ, ხან ბარგი გამოჰქონდათ და თან მოდებულ ცეცხლს იფერთხავდნენ.

ხალხს როგორც ერთ კაცს ამოხდა კივილი, რომელიც დაინახა, რომ ორმა უფროსმა ძმამ მესამე ხელით გამოიტანა: ხე ჩამოვარდნილიყო და ფეხი დაეშავებინა.

— ჩქარა სავარძელი!

ხალხმა ერთ წამს გადაადგო მოხუცი რაბოსი მის ჩალის სავარძელიდან, რომ დაესვა დაშავებული.

ყმაწვილი კომლისაგან გაშავებულ სახით და დაშავებულის ფეხით სცდილობდა დაეძალა საშინელი ტკივილი და იღიმებოდა. ერთბაშად იგრძნო, რომ ვიღაცის ათრთოლებული და სიბერისაგან გამხმარი ხელები ხელს უჭერს.


— შვილო ჩემო! შვილო ჩემო! კვნესოდა ბიძია რაბოსი და იწევდა მისკენ.

და, ვიდრე საწყალმა ყმაწვილმა მოასწრო ხელის წართმევა, დამბლა დაცემულმა მოხუცმა მიიტანა თავისი უკბილო პირი მის ხელამდის, რომელიც მაგრა ეჭირა, და აკოცა ხელზე, კოცნიდა და თან ცრემლებით ჰბანდა.


სახლი სრულებით გადაიწვა. კალატოზები ახალის ასაშენებლად ბიძია რაბოსის შვილი შვილებმა არ მიუშვეს სამუშაოდ: ჯერ უფრო საჩქარო სამუშაო არისო.

— ამ წყეულ კედლის დაქცევა საჭირო. დაავლეს წერაქვს ხელი და პირველმა თითონვე დაუშინეს კედელს.


ივ. ზურაბიშვილი.



გიგითის სანახაობანი.



„ბტენი ღიღებისა და ბედნიერებისა“, შეხეს შესავალი კარი.



„ბტენი საზღვრისა“, რომლის შიგნითაც აღარავის უშვებენ უცნოს, ბოგდინანის საზაფხულო რეზიდენციაში.